



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N 9

სხდომის ჩატარების დრო:

27 ივლისი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეცხრე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 20 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 15 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი: დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.აღამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვ.სილაგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი მ.ხიდაშელი. მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქე, გურამ გოცირიძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ, სხდომის დასაწყისში, მოკლე მიმოხილვა გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის თაობაზე. ასევე, ყურადღება გაამახვილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ზრდის მაჩვენებლებზე. ისაუბრა ქალაქში განვითარებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ გაწეული საქმიანობის შესახებ. მან აღნიშნა: „ჩვენ, დაახლოებით 2 თვის უკან, დავაანონსეთ, რომ დაგეგმილი იყო საკრებულოს რეგლამენტის ცვლილებებზე მუშაობა. იყო განხილვები რიგი საკითხების ირგვლივ, რომელიც რეგლამენტშია მოცემული. შესაბამისად, დეპუტატებსაც ჰქონდათ საშუალება ინკლუზიურად წარმოედგინათ თავისი მოსაზრებები აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით. ამ ცვლილებებზე იმუშავა საკრებულოს აპარატმა, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო მთელს აპარატს, განსაკუთრებით სამდივნო განყოფილებას და შესაბამისად, მომზადდა დოკუმენტი.“

ამასთან, მინდა ხაზი გავუსვა ინფრასტრუქტურის განვითარების ნაწილს. მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე წელს, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იხარჯება დაახლოებით 50 მილიონამდე ლარი და ეს არ მოიცავს მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ეს პროცესი ეხება ფასადების რეაბილიტაციას, ეხება სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სპორტული და ახალგაზრდული სარეკრეაციო სივრცეების მოწყობას. რეგიონული განვითარების ფონდიდან ჩვენ მივიღეთ დაახლოებით, მილიონ ნახევარი ლარი, საერთო ჯამში, ბიუჯეტის ზრდა შეადგენს 3 მილიონ ლარს. წელს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფისკალური ციფრები საკმაოდ შთამბეჭდავია, რაც გვამღევეს საშუალებას, სხვადასხვა მხრივ, ვიზრუნოთ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც ჩვენი ქალაქის მოსახლეობას აწუხებს.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მე-9 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 27 ივლისის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (შეიცვალა დღის წესრიგის პროექტის მე-2 და მე-9 საკითხებზე სამართლებრივი აქტების პროექტების წარმომდგენი პირები, კერძოდ, მე-2 საკითხზე დადგენილების პროექტის წარმომდგენ პირად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, ბატონი ირაკლი ქარქაშაძის ნაცვლად, განისაზღვრა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ირაკლი გიორგაძე, ხოლო, მე-9 საკითხზე - მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, კარლო კუხიანიძის ნაცვლად, - ამ სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი მირზა ხიდაშელი. ამასთან, დღის წესრიგის პროექტის მე-3 საკითხის სათაურიდან ამოღებულ იქნა ფრაზა: „და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის“, გამომდინარე აქედან, მე-3 საკითხის დასახელება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“. დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა 27-ე საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, რადგან, არ იყო წარმოდგენილი სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და არ იყო განსაზღვრული გადასაცემი ქონების ღირებულება. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგის საკითხები 26-ე ნომრის შემდეგ, გადაინომრა თავიდან), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-9 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-15, მე-16 ნაწილებითა და 125⁴ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი მამუკა რიჟამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ბაქარ მახარაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

9. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა ხიდაშელი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების,
 კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის
 მოადგილე

10. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის
 მოადგილე

11. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
 შემსრულებელი

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვნების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
 შემსრულებელი

13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
 შემსრულებელი

14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,

სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

15. „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

16. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404945244) შორის 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული №26 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

17. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

18. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანა „VOLKSWAGEN TIGUAN“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

19. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ათი ერთეული M2 კატეგორიის ავტობუსი „FORD TRANSIT 460E“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით,

უვალო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

20. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: გელა კოსტავას, რომან ჯავახაძის, აკაკი ცაგარეიშვილის, თებროლე ნიშნიანიძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბალახვანი 2022-სათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

21. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: გული ხაჩომიას, ლაშა ცამციშვილის, ლელა კამლადის, ნინო გაგომიძის, სოფიკო კვერნაძის, მონიკა გვენეტაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ედესი ჯგუფისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

22. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

23. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

24. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“

სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

25. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დაირექტ დეპიტ ჯორჯიასათვის“
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

26. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე
მერაბ ახვლედიანისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

27. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტრანსიმპექსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

28. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქი ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი

დღის წესრიგის პროექტის შესახებ, საკრებულოს წევრების მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-9 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუმანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე,

ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კობხრიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-9 სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის 1- ელი საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი, 2022 წლის 27 ივლისის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (დადგენილების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლი; დადგენილების პროექტის N1 დანართის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი გადაინომრა „ზ“ ქვეპუნქტად; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 მუხლის მე - 3 პუნქტში სიტყვა: „სხვა“, შეიცვალა, სიტყვით: „კომისიის“. გამომდინარე აქედან, მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის წევრებისაგან.“; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი: „9. კომისიის სხდომა საჯაროა. კომისიის სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება გამოცხადდეს დახურულად ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-2 მუხლის პუნქტები მე-8 პუნქტის შემდეგ, გადაინომრა თავიდან; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 მუხლის მე - 12 პუნქტის დასაწყისში ჩაემატა სიტყვა: „კომისიის“. გამომდინარე აქედან, მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „12. კომისიის თავმჯდომარეს, მისი არყოფნის შემთხვევაში, ცვლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.“; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 მუხლის მე - 14 პუნქტში სიტყვა: „ხელშეკრულების“ შემდეგ, ჩაემატა ფრჩხილებში სიტყვები: „(შემდგომ-ხელშეკრულების)“. გამომდინარე აქედან, მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „14. კომისიის სხდომებს ესწრებიან კომისიის წევრები, კომისიის აპარატისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერსა და ბენეფიციართა შორის გაფორმებული

ხელშეკრულების (შემდგომ - ხელშეკრულების) შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის (შემდგომ - მონიტორინგის ჯგუფი) ხელმძღვანელები.“; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 მუხლიდან ამოღებულ იქნა მე-15 პუნქტი („15.კომისიის წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კომისიის სხდომას დაესწროს სხვა უფლებამოსილი / დაინტერესებული პირი“); დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 მუხლის ბოლო პუნქტში ფრჩხილში არსებულ ჩანაწერში სიტყვის: „წესითა“, წინ, ჩაიწერა ნაცვალსახელი: „ამ“ და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „23. კომისია ვალდებულია რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შემდეგ უზრუნველყოს მიმდინარე გარემოებათა გამოკვლევა (მ.შ. ამ წესითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის მონიტორინგი).“; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი გაიმართა აზრობრივად და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „5. დროებითი საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის უსახლკაროდ რეგისტრირებული პირების რიგითობა დგინდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული საბოლოო ქულების სიდიდის მიხედვით.“), ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა ი.გიორგაძემ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ე ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც იცით, რეკონსტრუქცია უტარდება ახალ საცხოვრისს გუგუნავას ქუჩაზე, რომელიც დაახლოებით, 40 საცხოვრისს მოიცავს. ასევე იგეგმება არსებული საცხოვრისის რეაბილიტაცია და ამაში ქალაქის მერის მოადგილე, ბატონი დავით ერემეიშვილი დამეთანხმება. ვფიქრობ, ქალაქს ექნება შესაძლებლობა, ადამიანებს, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ, საჯაროდ, კანონის სრული დაცვით, კომისიურ ფორმატში მოხდეს განხილვა და შესაბამისად, დაკმაყოფილდეს ბენეფიციარების ინტერესი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კობხრიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ი.გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის **N36 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N36** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-2 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ**.

(დადგენილების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კობხეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე - 2 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **ვ.სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N37** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-3 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 27 ივლისის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (დადგენილების პროექტის სათაურიდან, დადგენილების პროექტის მე-5 მუხლიდან და დადგენილების N1 დანართის სათაურიდან ამოღებულ იქნა ფრაზა: „და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის“. გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტის სათაური, დადგენილების პროექტის მე-5 მუხლი და N1 დანართის სათაური ჩამოყალიბდა

შემდეგი რედაქციით: ა) დადგენილების პროექტის სათაური: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) დადგენილების პროექტის მე-5 მუხლი: „მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენის, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების უფლება მიენიჭოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიას (ს/ჯ.412750713)“;

გ) დადგენილების პროექტის N1 დანართის სათაური: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი“;

დადგენილების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტში, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტში, მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში ფრჩხილებში არსებულ ჩანაწერში, სიტყვის: „დადგენილების“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „წინამდებარე“;

დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში ჩაემატა ფრაზა: „ამასთან, სამართალდამრღვევის პოლიციაში მიყვანა ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს დახმარებით.“

გამომდინარე აქედან, მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „6. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე საქმისწარმოების დროს არა აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ ან/და არ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იდენტიფიცირების შესაძლებლობა, მაშინ, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 243-ე მუხლის 2² ნაწილის შესაბამისად, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი, თანამშრომელმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მისამართის დადგენის მიზნით. ამასთან, სამართალდამრღვევის პოლიციაში მიყვანა ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს დახმარებით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის პირადი მონაცემების დადგენის შემდეგ, თანამშრომელი ავსებს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს. აღნიშნული პროცესი თანამშრომელმა შეიძლება დააფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით და ამის თაობაზე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.“

დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4

მუხლის მე-6 პუნქტის „ლ.ბ.“ ქვეპუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ლ.ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს მიეცა განმარტება, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 273-ე მუხლის მიხედვით მას უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორთან (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №71ა), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ვიქტორ კუპრამის ქუჩა №11)“; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ლ.გ.“ ქვეპუნქტის დასაწყისში, სიტყვა: „მოქალაქეს“, შეიცვალა სიტყვებით: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს“; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია იგი გაასაჩივროს სამართალსუბიექტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორთან, რომლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პირმა შეიძლება გაასაჩივროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-8 მუხლს დამატა შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი: „2. პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია იგი გაასაჩივროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში“. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები გადაინომრა შესაბამისად, მე-3 და მე-4 პუნქტებად; შეიცვალა დადგენილების პროექტის N2 დანართის მე-12 პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „12. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს მიეცა განმარტება, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 273-ე მუხლის მიხედვით მას უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორთან (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №71ა), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ვიქტორ კუპრამის ქუჩა №11)“; დადგენილების პროექტის N2 დანართის მე-13 პუნქტის დასაწყისში სიტყვა: „მოქალაქეს“, შეიცვალა სიტყვებით: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს“; დადგენილების პროექტის N2 და N4 დანართების სათაურები შეიცვალა და ჩამოყალიბდა დადგენილების პროექტის მე-2 და მე-4 მუხლების შესაბამისად.), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა

და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვ.სილაგამემ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ე ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აქ მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრირება მოხდეს, თუმცა მნიშვნელოვანია ეს ფორმები მოქალაქეებისათვის იყოს ცნობილი. ტრანსპორტის სამსახურმა იქნებ თავისი წესი გააცნოს მოქალაქეებს. ვიდეო რგოლიც დავამზადოთ, რომ მოქალაქეების ინფორმირება იყოს მაქსიმალური, იცოდნენ რა შემთხვევაში მოუწევთ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი კ.გურული (პარტია „მესამე ძალა“): „ერთი ინიციატივა მაქვს და ეს გავაჟღერე კომისიის სხდომაზე. კონფლიქტი, რომ არ მოხდეს მაკონტროლებელსა და მგზავრს შორის, ხომ არ გავაკეთოთ ავტობუსში აღნიშვნა, რომ მგზავრის მიერ ბილეთის შეძენის გადამოწმება მოხდება მგზავრის ავტობუსიდან ჩასვლის დროს. შესაძლოა, მგზავრმა არ შეიძინოს ბილეთი ამოსვლისთანავე და იქნებ გაკეთდეს ტრაფარეტი, რომ უბილეთოდ ჩაითვლება მგზავრი, რომელსაც ჩასვლის დროს არ აღმოაჩნდება ბილეთი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კი ბატონო, ამის გარდა შესაძლოა დამზადდეს ვიდეო რგოლი, რომელსაც ავტობუსშივე ნახავს მგზავრი. ამის შესახებ მივწეროთ რეკომენდაცია ტრანსპორტის სამსახურს.“

